ოჯახი, როგორც შთაგონება[1]

აკაკი წერეთელი და ბაგრატიონ-დავითაშვილების ოჯახი

Family, as source for inspiration[2]

Akaki Tsereteli and Bagrationi-Davitashvili's Family

Aleksandre Mgebrishvili
Doctor of Philological Sciences, Professor of Gori State Teaching University,
Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-4275-2417

Murad Mtvarelidze
Doctor of Philology, Professor of Gori State Teaching University,
Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,
+995595484037, Mtvarelidze.murad@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-2335-6312

Abstract. Aleksandre Bagration-Davitashvili's family held a high position in the 19th century, among the noble families of Shida Kartli, whose children were the renowned statesmen in the end of the 19th century and the beginning of the 20th century and had significant input in the societal development. This family had become a friend of the famous Georgian poet and statesman, Akaki Tsereteli, and the members of this family his close people; furthermore, we can find many creations in the poets lyrics, dedicated to the members and the descendants of the mentioned family.

Taking these relations into account, in the given work, we bring into rigour or doubt some literary facts. Furthermore, we try to illusrate the spiritual closeness and plain human relations, which was such a needed condition for a poet, whose life was not easy, for his creative activities, so as for overcoming the barriers caused by the difficulties of life itself.

Keywords: Bagrationi-Davitashvili's, family, Akaki Tsereteli, friendship, aspiration.

[1] წინამდებარე ნაშრომი მომზადებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პროექტების დაფინანსების კონკურსზე (ბრძანება N 5-37-06/04/2022) გამარჯვებული პროექტის „ხუთი დიდი ქართული ოჯახი შიდა ქართლიდან“ ფარგლებში.

[2] The publication has been prepared in the framework of the project "Five famous Georgian families from Shida Kartli" funded through the financial support of Gori State Teaching University's academic personnel support program.

ალექსანდრე მღებრიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53,1400, საქართველო,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-4275-2417

მურად მთვარელიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძისქ., No53,1400, საქართველო,
+995595484037, Mtvarelidze.murad@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-2335-6312

აბსტრაქტი. მე-19 საუკუნეში ქართლის დიდგვაროვან ოჯახებს შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკავა ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილის ოჯახს, რომლის შვილები ამავე საუკუნის მიწურულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ცნობილი მოღვაწეები იყვნენ და დიდი წვლილი შეჰქონდათ იმდროინდელი ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ოჯახი იქცა დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის მეგობრად, ხოლო ამ ოჯახის წევრები უახლოეს ადამიანებად, ამასთანავე პოეტის ლირიკაში არარერთი ნაწარმოები მოიძებნება, რომლებიც ამ ოჯახის წევრებსა და მათ შთამომავლებს ეძღვნება.

ამ ურთიერთობათა გათვალისწინებით, ნაშრომში დაზუსტებულია ან ეჭვის ქვეშაა დაყენებული რამდენიმე ლიტერატურული ფაქტი. ამასთანავე, ნაჩვენებია ის სულიერი სიახლოვე და წმინდა ადამიანური ურთიერთობები, რაც ასე სჭირდებოდა ბედისაგან არცთუ განებივრებული, დაულაგებელი პირადი ცხოვრების მქონე პოეტს როგორც შემოქმედებთი საქმიანობისათვის, ასევე ცხოვრების სიძნელეებით გამოწვეული წინააღმდეგობის გადალახვისათვის.

საკვანძო სიტყვები: ბაგრატიონ-დავითაშვილები, ოჯახი, აკაკი წერეთელი, მეგობრობა, შთაგონება.

შესავალი. აკაკი წერეთელს თავისი სიცოცხლის ბოლო 30 წლის განმავლობაში მჭიდრო მეგობრობა აკავშირებდა ბაგრატიონ-დავითაშვილების შესანიშნავ ოჯახთან. ამ ურთიერთობით დიდი ქართველი მწერალი აკაკი წერეთელი კიდევ ერთხელ წარმოდგება ჩვენ წინაშე, როგორც უბადლო მეგობარი და საიმედო ადამიანი.

ბაგრატიონ-დავითაშვილთა ოჯახის წინამძღოლი ალექსანდრე 1885 წელს გარდაიცვალა, ხოლო მისი მეუღლე დარია ბიძინა ერისთავის ასული, მეფე ერეკლეს შვილთაშვილი (ერეკლე - ანასტასია - ბიძინა - დარია) სამი წლის შემდეგ, 1888 წელს გაშორდა ამ საწუთისოფლოს. ოჯახი სოფელ ფცაში სახლობდა.

ალექსანდრე გავლენიანი ფეოდალი იყო, ძველი ტრადიციებისა და ადათების დამცველი. დარია უაღრესად განათლებული, სათნო ბუნების ადამიანი ყოფილა. მათ ხუთი შვილი დარჩათ: ნიცა (1858_1937), გიორგი (1861-1929), ანასტასია (ტასო) (1869-1917), ბრბარე (ბაბო) (1870-1915) და დავითი (1873-1921).

აკაკის მეგობრობა ამ ოჯახთან 1884 წლიდან დაიწყო, როცა ბაგრატიონ-დავითაშვილთა უფროსი ასული ნიცა ცოლად გაატანეს აკაკის ახლო ნათესავს, საჩხერელ თავადს ბეჟან წერეთელს. სწორედ ამ ქორწინებით დაედო საფუძველი საჩხერეში ერთი მშვენიერი, სტუმართმოყვარე, ხელოვნებაზე შეყვარებული ოჯახის შექმნას.

მეთოდი. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი, კრიტიკული ანალიზის, სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები.

მსჯელობა. ნიცასი და ბეჟანის ოჯახი იქცა ყველა კულტურული წამოწყების მოთავედ, ხოლო ამ ოჯახის უპირველესი მეგობარი აკაკი წერეთელი _ ყველა შეკრების მშვენებად და სიამაყედ. ჩნობილი მოღვაწე ს. ჭოღოშვილი წერს: ,,აკაკის ძლიერ უყვარდა ნიცა წერეთლის ოჯახი და მეტ წილს საჩხერეში ატარებდა. ადგილობრივ ინტელიგენტებს გვიყვარდა ნიცას ოჯახი იმიტომ, რომ აქ ვხდებოდით საქმიან, ჩვენი ქვეყნის ბედით დაინტერესებულ ხალხს, რომელნიც წყნარ, მყუდრო ატმოსფეროში მსჯელობდნენ ქართულ ჭირ-ვარამზე". (წერეთელი 1940: 411).

აკაკი თავიდანვე უდიდესი პატივისცემით განიმსჭვალა ნიცასადმი. ამის დასტურია უამრავი შეხვედრა, ლექსები, პირადი ბარათები... ,,ნიცა წერეთლის სახლი ბაზრიდან ცოტა მოშორებით იდგა. წინა დერეფნიდან ჩამოსასვლელ ქვის კიბის ზევით მხარეზე ცოტა ამაღლებული ადგილი იყო. მწვანე სუფთა მოლით შემოსილი. ამ მაღლობ ადგილზე უყვარდა აკაკის საღამოობით წამოწოლა მოლზე დაგებულ ნოხზე. მის ირგვლივ ვიყრიდით თავს: ზოგი მწვანე მოლზე და ზოგიც დაფენილ ნოხზე და ვუსმენდით აკაკის", _ იგონებს ს. ჭოღოშვილი. (წერეთელი 1940: 411).

ბეჟან წერეთლის ოჯახში გაიცნო აკაკიმ მარჯორი უორდროპი. ცნობილია, რომ მარჯორი საჩხერეში მხოლოდ ერთ ღამეს დარჩა. 1896 წლის 28 ივლისს ,,კვალი" საზოგადოებას აუწყებდა: ,,დაბა საჩხერეს მათ გაათიეს ერთი ღამე თ. ბეჟან წერეთლის ოჯახში და დილით გაემგზავრნენ ჭიათურას. ისინი ჩქარობდნენ, რომ ოც მკათათვისათვის წვეოდნენ ილია ჭავჭავაძეს საგურამოს".

აკაკისა და მარჯორის შორის უგულითადესი საუბარი გაიმართა. პოეტი აღფრთოვანდა ამ ახალგაზრდა უცხოელით, რომელიც ჩინებულად საუბრობდა ქართულ ენაზე. ამ შეხვედრის შემდეგ აკაკი წერდა: ,,უნდა მოგახსენოთ, მისის უორდროპისა არ იყოს, პატივისცემა ვიგრძენი არა მარტო ამ ქალისადმი, თვით იმ ხალხისაც კი, რომელსაც ამგვარი ქალები ეკუთვნიან". (წერეთელი, 1961: 378)

ზამთრის პირზე აკაკი ავად გახდა. ასეთ დროს კი, რამდენიმე ახლობელთან ერთად, პოეტის მზრუნველი იყო ნიცა წერეთელი. ,,მე და ჩემი ქმარი ყოველდღე დავდიოდით სანახავად, ვამშვიდებდით, რომ საშიში არაფერია. ატირდა და თქვა, მე იმას ვწუხვარო, უამხანაგოდ ვარო. იმავე საღამოს მივწერე ჩემს სიძეს ვანო მაჩაბელს და ჩამოვიდნენ ვანო, მიშო მაჩაბელი და გიგო დიასამიძე. დიდად ისიამოვნა. მთელი ღამე მასთან გავატარეთ." (წერეთელი, 1961: 134) ამ შემთხვევასთან დაკავშირებით საინტერესოა პოეტის რძლის მარიამ ციციშვილის მოგონება: ,,სანახავად ამოვიდნენ ექიმი ელიაშვილი, ბეგთაბეგოვი, ტასო და ვანო მაჩაბელი, გიგო დიასამიძე და სხვები. ამ დროს დაესწრო ვარინკა წერეთელი. სტუმრები ღამე სხვიტორში დარჩნენ. ზოგი ნიცამ წაიყვანა, ზოგი ჩვენ, ზოგი იქ დარჩა. ვარინკამ მაშინ უმღერა აკაკის ,,სულიკო". (წერეთელი, 1961: 10). ვფიქრობთ, აქ Mმარიამ ციციშვილი ცდება, რადგან, როგორც ირკვევა, იმ ავადმყოფობის დროს ვარინკამ პოეტს უმღერა არა ,,სულიკო", არამედ ,,შაქრის გულო". თვითონ ვარინკა წერეთელი ამ ამბავს ასე იხსენებს: ,,ერთხელ აკაკი ავად გახდა. დიდძალი მნახველები მოდიოდნენ. თბილისიდანაც მრავალნი ჩამოვიდნენ: ექიმები, ლიტერატორები, მათ შორის ვანო მაჩაბელიც. მე და ვანოს მეუღლე ტასო ავადმყოფთან შევედით. აკაკის სახე კედლისკენ ჰქონდა მიქცეული. ვანომ გიტარა მომიტანა და მთხოვა მემღერა რამე. მე ნელის ხმით დავამღერე ,,შაქრის გულო". აკაკი გადმობრუნდა და ღიმილით შემომხედა. ეტყობოდა დიდად ნასიამოვნები იყო. როდესაც გამოკეთდა საჩქაროდ გამომიგზავნა მშვენიერი ლექსი ,,რამ მომარჩინა". (წერეთელი, 1961: 151-152)

1986 წლის დასაწყისში მოულოდნელად გახდა ავად ბეჟანისა და ნიცას უფროსი შვილი ივლიტა. ამ დროს აკაკი ხარკოვში იყო და იქ შეიტყო ლიტას (ასე ეძახდნენ გოგონას) ავადმყოფობის ამბავი. ამით შეწუხებული პოეტი 1896 წლის 1 იანვარს ვანო მაჩაბელს წერს: ,,ძმაო ვანო! გილოცავთ ერთობით დღესასწაულს! როგორ ხართ და რასა იქმთ? პატარა ლიტა ხომ უკეთ არის?" (წერეთელი, 1963: 140)

იმავე წლის 7 მარტს გოგონა გარდაიცვალა.. ივლიტა სოფელ სატივეში, ბაგრატიონ-დავითაშვილთა საგვარეულო ეკლესიაში, პაპისა და დიდედის გვერდით დაკრძალეს. ამ ამბით შეწუხებული ტასო მაჩაბელი წერილს წერს მარჯორი უორდროპს:

,,დიდად პატივცემულო ბატონო მარჯორი!

ბოდიშს გიხდით, რომ აქამდის ვერ მოგწერეთ წერილი. მიზეზი ის არის, რომ ამ ზამთარს აქ ჩემი და იყო თავისი პატარა ავადმყოფი ქალით და ეს ორი კვირა არის, რაც გარდაიცვალა. მეტად შეწუხებული ვიყავით და დრო ვერ ვიშოვე, რომ მომეწერა". (შარაძე, 1984: 319)

ხარკოვიდან დაბრუნებულ აკაკის სულით ხორცამდე შეაძრწუნებს საყვარელი გოგონას გარდაცვალების ამბავი. თავის განცდებს პოეტი აკროსტიხულ ეპიტაფიაში ჩააქსოვს. მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილმა ამ ლექსმა მალე გოგონას საფლავთან ეკლესიის კედელზე ჰპოვა ადგილი.* მოგვაქვს ეს ეპიტაფია მთლიანად:

ივლიტას
იხარე ანგელოზთ გუნდში
ვარსკვლავო მოსხივცისკარე,
ლიტანიობდე ამიერ,
ეთერზე ფრთებმოელვარე.
წახველ უდროოდ ამ სოფლით
ედემის ნორჩი ყვავილი,
რომ შენი ხსოვნა შენს მშობლებს
ეკლად დაესოს მწარ-ტკბილი.
თანამავალო ვარსკვლავთა
ელვარებითა დიდებით,
ლიტანიობდე ცის გუნდში
იმხიარულე მშვიდობით.

ამ დროისათვის ბეჟანსა და ნიცას კიდევ ჰყავდათ შვილები: ალექსანდრე, დავითი, ნიკო.

ნიკო აკაკის ნათლული ყოფილა და პოეტს ის განსაკუთრებულად ჰყვარებია. ბავშვი ხშირად ავადმყოფობდა, რასაც მგოსანი ძალიან განიცდიდა. ნიცასადმი მიწერილ ბარათებში კარგად ჩანს აკაკის დამოკიდებულება პატარა ნიკოსადმი: ,,თქვენო ბრწყინვალებავ, ბატონო ნინო ალექსანდრეს ასულო! ბეჟანმა მიანბო პატარა ნიკოს უქეიფობა და დიდად შემაწუხა. მადლობა ღმერთს, რომ ახლა კარგათ არის". (წერეთელი, 1963: 215)

წერეთლების ოჯახს მალე კიდევ ერთი უბედურება დაატყდა თავს, მოულოდნელად გარდაეცვალათ უფროსი ვაჟი ალექსანდრე, რამაც კიდევ ერთხელ დაამწუხრა პოეტი. ცოტა ხნის შემდეგ ალექსანდრეს საფლავიც დაამშვენა აკაკის ,,ეპიტაფიამ":

მშობლების გულში აღმგზნები
გავხდი ცეცხლისა მწველისა,

* საფლავის ეს ფილა (დაზინებული) ინახება ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. გოგონას საფლავთან, ეკლესიის კედელზე კი მიმაგრებულია გვიან დამზადებული მარმარილოს ფილა აღნიშნული ეპიტაფიით.

მოვწყდი ამ სოფელს უდროოდ
ვითა ყვავილი ველისა.
ანგელოზთ გუნდსა მივმართე,
იქ დამხვდა ლიტა ელვარე
და მადლით ერთად ორივე
ვით სოფლის მოსხივცისკარე.
რომ თან გამოჰყვეს ჩვენს სხივებს
ძალი და მადლი ზეცისა
გასაქარვებლად ქვეყნიურ
ჭირისა-მრავალ კეცისა.

აკაკის თხზულებათა გამოცემებში ალექსანდრეს გარდაცვალების თარიღად ყველგან მიჩნეულია 1898 წელი და ეს ლექსიც ასეა დათარიღებული. მაგრამ ერთგვარ გაუგებრობას იწვევს ერთი გარემოება: 1901 წლის 28 მარტს ტასო მაჩაბელი წერილს წერს მარჯორი უორდროპს, სადაც აუწყებს: ,,ძვირფასო ბატონო მარჯორი! ...აქამდინ ვერ მოგწერეთ იმიტომ, რომ კვლავ დიდი უბედურება მოგვივიდა. ჩემს დას მოუკვდა უფროსი შვილი, თოთხმეტი წლის, და დიდ მწუხარებაში ვიყავით". (შარაძე, 1984: 327)

ტასო წერს, რომ ბარათი ,,აქამდინ ვერ მოგწერეთო". ეს ,,აქამდინ" პერიოდი კი მოიცავს დროს 1900 წლის 1 ნოემბრიდან 1901 წლის 28 მარტამდე. ალექსანდრე რომ მანამდე გარდაცვილიყო, მაშინ ტასო თავისი დის უბედურების ამბავს მიწერდა 1 ნოემბერს გაგზავნილ ბარათში, მაგრამ რაკი არც ამ და არც წინა წერილებში არაფერი არ არის თქმული საშას გარდაცვალების შესახებ. ამდენად, ეს წერილი საეჭვოს ხდის ყმაწვილის გარდაცვალების თარიღს, თუმცა თარიღის დადგენას ართულებს ის გარემოებაც, რომ 1898 წელსვე აკაკი წერს ლექსს ,,ნიცას", რომელშიც პოეტი მიუთითებს იმაზე, რომ ნიცამ ახლობლების გარდაცვალების გამო დიდი მწუხარება განიცადა:

რომ დაგიტკბეს ნაღველ-ძმარი,
გულში შხამად ნაგუბარი,
გწამდეს სულის უკვდავება,
მეცნიერის ნაუბარი.
ვინც **მოგშორდნენ** დროებითად
ნუ გგონია დაკარგული
გადაცვლით და განსვენებით
ელვარეობს მხოლოდ სული.
რაც ყოფილა, რაც არსებობს
არა ჰქრება, თუმც იხრწნება,
საუკუნო უკვდავება
ქრისტეს ბეჭდით იმოწმება.

ნიცა ქედდაუდრეკელი ქალი აღმოჩნდა, ვერ დაიმონა მწუხარებამ: სულის სიმტკიცით შეება უბედურებას და დაამარცხა კიდეც...

1903 წელს ნიცას გოგონა შეეძინა, რომელსაც თამარი დაარქვეს. მშობლების სიხარულს გულწრფელად შეუერთდა აკაკი. პოეტმა მას თამუნია შეარქვა. 1903 წელს, თამუნიას დაბადებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, აკაკი წერს ლექსს ,,ღამის თევა", რომელსაც უძღვნის პატარა თამარ-თინას

მზის სხივების ანარეკლო,
შუქ-მღელვარე თინა-თინა,
უსახელო -სასახელო,
ათინავ და თამარ-თინა...
ნუგეშო და სიხარულო
დედ-მამისავ, პაწაწინა

გაიზარდე, მომავალო
ათინავ და თამარ-თინა!

1906 წელს აკაკი წერს ლექსს ,,ანგელოზის ნანინა", რომელშიც გამოხატავს უდიდეს სიყვარულს თამუნიასადმი. აქვე პოეტი იხსენებს ივლიტას, რომლის მაგივრადაც ლოცავს პატარა თამუნიას. 1909 წელს პარიზში მყოფი აკაკი ნიცასადმი მოწერილ ბარათში წერს: ,,ნიკო დამიკოცნე და თამუნიას კი დავკბენ, მაგრამ ისე ფრთხილად კი, რომ არ ეტკინოს". (წერეთელი, 1963: 219)

პოეტს არასდროს არ ავიწყდებოდა ბეჟან წერეთლის ოჯახი. საფრანგეთში ყოდფნისას აკაკი ხშირად წერდა ბარათებს წერეთლებს, უგზავნიდა ლექსებს. ამასთან დაკავშირებით საინტერსოა ნიცა და თამუნია წერეთლების მოგონებები.

1913 წელს ბეჟანი გარდაიცვალა. ნიცამ 1937 წლამდე იცოცხლა. უბედოდ იცხოვრეს ბაგრატიონ-დავითაშვილების დიდი ოჯახის შთამომავლებმა, დავითი 1921 წელს გაშორდა საწუთროს, ნიკო 1935 წელს 45 წლისა, თამუნია წერეთელი - ტიციან ტაბიძის ღვთაებრივი მუზა კი - 1967 წელს, ნატანჯი, მაგრამ მაინც მშვენიერი და სათნო.

ბაგრატიონ-დავითაშვილთა უფროსი ვაჟი გიორგი სამხედრო პირი იყო. იგი ერთხანს თბილისის თავადაზნაურობის მარშლად აირჩიეს და იმდროინდელ მაღალ არისტოკრატიულ წრეებში დიდი გავლენით სარგებლობდა.

სწორედ გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილის სახელთანაა დაკავშირებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ამბავი, რამაც აკაკი სატუსაღოს კარამდე მიიყვანა: როგორც ცნობილია, 1907 წლის 11 თებერვალს პოეტმა გამოსცა ყოველკვირეული იუმორისტული გაზეთი ,,ხუმარა". ეს გაზეთი პირველი ნომრის გამოსვლისთანავე აიკრძალა. საქმე იმაში იყო, რომ გაზეთის პირველ გვერდზე პოეტმა დაბეჭდა თბილისის იმდროინდელი გუბერნატორის რაუშ-ფონ-ტრაუნბერგის კარიკატურა, რომელსაც აკაკის შემდეგი ლექსი ერთვოდა:

დიდყურაანთ ყროყინას
ჩვენები ეჯავრება,
საიდანაც მოსულა
იქით მიეჩქარება
და ნიშადურს ულესავს
გულმოსული მარშალი
რომ აქ აღარსად დარჩეს
იმ ვირის გზა და კვალი.
კინტო კი გაოცებით
შესცქერია ამ ამბავს
და ხმამაღლა იძახის
ამოუსვი, რა უშავს

ამ ლექსის შესახებ შენიშვნებში ვკითხულობთ: ,,მეფის ეს ბობოლა მოხელე ავი თვალით უყურებდა ქართველებს. რაუშ-ფონ-ტრაუნბერგი იმდენად ცინიკურად იქცეოდა, რომ მისმა თავგასულობამ თბილისის თავადაზნაურობის მარშალი გ. ა. ბაგრატიონიც კი შეაშფოთა. ერთ-ერთი ოფიციალური ცერემონიის დროს ამ უკანასკნელმა თბილისის გუბერნატორს გამოწვდილი ხელი არ ჩამოართვა. ეს ფაქტი იგულისხმება ლექსის მე-5 და მე-6 სტრიქონებში:

და ნიშადურს ულესავს
გულმოსული მარშალი."

გიორგის მხრივ ეს იყო ნამდვილად გაბედული, რაინდული მოქმედება, რამაც მისი პოპულარობა ქართველ საზოგადოებაში კიდევ უფრო გაზარდა.

ეს ამბავი აკაკისთვის მაშინვე გახდა ცნობილი, თუმცა უმჯობესია მოვიხმოთ პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილის შენიშვნა ამ ამბავთან დაკავშირებით: ,,ფონ-რაუში ერთი

რაღაც ქარაფშუტა პიროვნება იყო, გარდა ამისა, უყვარდა ,,ჩაღლევა" და როცა ღვინო თავში შეუჯდებოდა, ათასგვარ უტაქტობას ჩადიოდა...

1906 წელს მცხეთის საგვარეულო აკლდამაში ასაფლავებდნენ რომელიღაც ბაგრატიონს. დაკრძალვას ფონ-რაუშიც დაესწრო. დაკრძალვის შემდეგ, რასაკვირველია, გაიმართა ჩვეულებრივი ქელეხი! ფონ-რაუში ძალიან გამხიარულდა. ღვინომ გონება გაუფიცხა და ქელეხში ,,მრავალჟამიერი" შემოსძახა. ჩვენს გუბერნატორს ეგონა, რომ ქართველები ყველგან და ყოველთვის ჭირსა და ლხინში ,,მრავალჟამიერს" მღეროდნენ. ამ ამბავმა ქართველებში უსიამოვნება დაბადა.

სწორედ იმ ხანებში თბილისის სამხედრო ტაძარში საიმპერატორო გვარეულობის რომელიღაცა წევრის პარაკლისს იხდიდნენ. მთელი გენერალიტეტი იქ იყო. საზოგადოდ, ასეთ შემთხვევაში ტაძრის არენაზე ყოველთვის პირველ პლანზე თბილისის თავადაზნაურობის წინამძღოლი უნდა მდგარიყო, მერე გუბერნატორი და ა.შ. ფონ-რაუშმა მოინდომა ყველაზე წინ დგომა და თავადაზნაურთა მარშალს გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილს წინ აეტუზა. ბაგრატიონი წინ გაიწია, რაუშიც წინ წავიდა და კვლავ აეფარა ბაგრატიონს. ერთი სიტყვით, გაჩაღდა ბრძოლა ,,პირველობისათვის". ბაგრატიონი ისედაც გულაჩხრეკილი იყო ამ გუბერნატორის მიმართ, ახლა ეს ეტიკეტის დარღვევაც ზედ დაემატა და როცა პარაკლისის გათავების შემდეგ, ფონ-რაუშმა ბაგრატიონ-დავითაშვილს გაუწოდა ხელი ჩამოსართმევად, ბაგრატიონმა საჯაროდ ხელი არ ჩამოართვა და ზურგი შეაქცია. აქედან დაიწყო მათი უძრახობა. საქმე თითქმის დუელამდე მივიდა. (,,ნიანგი" 1933: 11-12) სწორედ ამ ფაქტს მიუძღვნა აკაკიმ ხსენებული გაზეთის კარიკატურა ლექსით, სადაც რაუში ვირის თავით იყო გამოხატული. გაზეთი გამოსვლისთანავე დახურეს, ხოლო აკაკი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს. მხოლოდ რამდენიმე საათი მოუწია მგოსანს საპყრობილეში ყოფნამ. ეს ამბავი წამსვე გახმაურდა და საზოგადოების მოთხოვნით პოეტი გაათავისუფლეს.

აკაკის ძალიან უყვარდა ბაგრატიონ-დავითაშვილის უმშვენიერესი ასული ბაბო (ბარბარე). იგი დებს შორის უმცროსი იყო. როგორც გადმოგვცემენ, სრულქმნილი მშვენიერებით დაჯილდოებული ბაბო ბაგრატიონი უმალ იპყრობდა ყველას ყურადღებას. აკაკიმ მას ,,ტუჩმარჯანა" შეარქვა. ,,ტუჩმარჯანას თავს დავუკრავ", - წერდა ერთ-ერთ წერილში პოეტი და ყველგან განსაკუთრებული სიყვარულით ახსენებდა.

1891 წლის გაზაფხულზე პეტერბურგში სამკურნალოდ მყოფი აკაკი სპეციალურად უგზავნის ვანო მაჩაბელს თავის მიერ თარგმნილ ველიჩკოს პატარა ლექსს, რომ ბაბოს გადასცეს წასაკითხად: ,,გიგზავნი ამ პატარა ლექსს. ველიჩკოს დაეწერა რუსულათ და მეც ვითომ გადავთარგმნე. ბაბოს ხომ მაინც უყვარს კითხვა და რამდენიმე წამით თავს შეიქცევს". (წერეთელი, 1963: 137)

1898 წელს დაწერილ ლექსში ,,ტუჩმარჯანა" აკაკიმ ნათლად გამოხატა თავისი დამოკიდებულება ბაბოსადმი:

,,თვალციმციმა, კბილებბროლა,
პაწაწკუნა ტუჩმარჯანა,
ზოგჯერ წმინდა ცეცილია,
ხან ეშმაკი, ვით სატანა.
ლიტანიობს, ყველას ხიბლავს,
ხელოვნურად უხლართავს გზებს,
მარჯვნივ ელავს, მარცხნივ ქსელავს
და შიგ აბამს, როგორც ბუზებს.
ფრთხილად, ფრთხილად არ შეგრჩება
გადაგხდება ტუჩმარჯანა,
თვისვე ქსელში რომ გაება
ბევრი ვნახეთ შენისთანა".

ბაბო ბაგრატიონს ღმერთმა ერთდროულად უბოძა ლაღი და, ამასთანავე, ტანჯული ცხოვრება. ეს მომხიბვლელი ახალგაზრდა ქალი საცხოვრებლად ბოლო ხანებში პეტერბურგში წავიდა. იქაურ ბრწყინვალე საზოგადოებაში როდი დაიკარგა ბაბოს მშვენიერება. პეტერბურგში ცხოვრების დროს იგი დაუახლოვდა მარჯორი და ოლივერ უორდროპებს, რომლებიც თბილისში დის - ტასოს ოჯახში გაიცნო. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ბაბო მარჯორის უგულითადეს მეგობრად იქცა.

1905 წელს აკაკი საზღვარგარეთ გაემგზავრა. პოეტი ჯერ პეტერბურგში ჩავიდა ცოლ-შვილთან და არც იქ დაავიწყდა საყვარელი მეგობრის მონახულება. რამდენჯერმე ესტუმრა ბაბოს პეტერბურგში. იმ ხანებში ბაბო მარჯორის წერდა: ,,აკაკი ჩამოვიდა პეტერბურგში. ამ დღეებში აპირებს წასვლას პარიზში. უნდოდა თქვენთან მოსვლა. ეწყინება რომ გაიგებს თქვენს წასვლას... ძალიან დაბერებულა! ჩემთან იყო ერთი საღამო და სულ იწვა.” (შარაძე, 1984: 321)

მგოსნის ჯანმრთელობით შეწუხებული ბაბო, რამდენიმე ხნის შემდეგ თვითონ დაავადდა მძიმე სენით. ამ ამბით შეწუხებული მარჯორი უორდროპი 1909 წლის 6 ივნისს მეგობარს წერდა:

,,ძვირფასო მეგობარო!

თქვენმა წერილმა, რომელიც გუშინწინ მივიღე ძალიან დაგვამწუხრა. მეშინია, რომ გასულ წელს ბევრი ტანჯვა გამოიარეთ. კვლავ შეუძლოდ ბრძანდებით? რატომ არ დატოვებთ სანკტ-პეტერბურგს, რომლის ჰავა ასეთი ულმობელია თქვენთვის, რომ შეგეძლოთ ცოტა ხანი ჩვენთან გაგეტარებინა. ეს არც ისე შორსაა საქართველოდან. რატომ უფრო ადრე არ მომწერეთ, თუ გიჭირდათ. ხომ იცით, რომ ნამდვილად მეგობრად გთვლით! და ვფიქრობ, დიდი ბედნიერებაა მეგობარს დაეხმარო! დარწმუნებული ვარ, თქვენც ასე მოიქცეოდით ჩვენს მიმართ... არ ვიცი, რა დარდი გქონდათ გასულ წელს, ერთში კი დარწმუნებული ვარ, რომ თქვენზე მეტად არავინ იმსახურებს ბედნიერებას”. (შარაძე, 1986: 250)

ბაბოსა და მარჯორის მეგობრობა, ისევე როგორც ამ გამოჩენილი მოღვაწისა და ბაგრატიონ-დავითაშვილთა ოჯახის სხვა წევრებისა, ცალკე კვლევის სფეროს განეკუთვნება, როდესაც მარჯორი გარდაიცვალა, ბაბო სულით ხორცამე შეძრა მეგობრის მძიმე ხვედრმა. ,,მე რომ იმპერიალური ომის დროს ლენინგრადში ვიყავი,- იგონებს ელიზბარ ერისთავის უმცროსი ქალიშვილი ელისაბედი, _ ბაბო ბაგრატიონი ვნახე, ჩემი კუზინა, რომელიც დიდი მეგობარი იყო მარჯორის და ავადმყოფობის შემდეგ მარჯორი გარდაცვლილიყო. ბაბო ბაგრატიონის მწუხარებას ვერ აგიწერთ. იჯდა და იმდუღრებოდა. მეგობარიც იყოვო, დაცა და დედაცაო. შენ არ იციო, რამდენ სიკეთეს აკეთებდაო ყველასთვისაო. თვითონაც იმდენი არა ჰქონდა რაო, მაგრამ თვითონ იკლებდა და სხვას აძლევდაო. ამისთანა მშვენიერი სული და ადამიანი იყოო”. (ჩვენი მწერლობა, 2010: 49)

ბაბოს ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. ამ ამბით შეწუხებული ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილი-მაჩაბლისა ოლივერ უორდროპს წერდა: ,,ძალიან მაწუხებს ჩემი საბრალო დის – ბაბოს ამბავი. ავადმყოფობამ სულ შეუცვალა ხასიათი. პატარა ბარათი რომ მიგეწერათ, ეგებ ცოტათი მაინც გამოცოცხლებულიყო, არავის ნახვა არ სურს, ძალიან ცუდ გუნებაზეა, ვერაფრით გამოვიყვანე ამ მდგომარეობიდან. მისწერეთ, გეთაყვა და ძალიან მასიამოვნებთ, თუ მის პასუხს მაცნობებთ, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ბაბო გამოჯანმრთელების გზას დაადგა”. (შარაძე, 1986: 243)

ავადმყოფობამ საკმაოდ დიდ ხანს გასტანა, ბაბო 1915 წლის 17 ივლისს გარდაიცვალა.

ბაგრატიონ-დავითაშვილთა ოჯახის წევრთაგან აკაკი განსაკუთრებით ახლოს იყო დათა ბაგრატიონთან. დათა ლაღი ბუნების ადამიანი ყოფილა და ადვილად ამყარებდა

კონტაქტს ადამიანებთან. აკაკის სწორედ ეს თვისება მოსწონდა დათაში, ამიტომ იქცა იგი მგოსნის უახლოეს მეგობრად.

დათა ბაგრატიონ-დავითაშვილი წინაპართა კვალს გაჰყვა. ის სოფელ ფცაში, მამა-პაპურ მამულში დარჩა საცხოვრებლად. აკაკი ხშირად ჩადიოდა ფცაში. განსაკუთრებით ზაფხულში, როდესაც იქ ოჯახის ყველა წევრი იყრიდა თავს. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს სწორედ დათამ აკაკის გააცნო სრულიად ახალგაზრდა ტასო ერისთავი - შემდეგში ცნობილი მწერალი ქალი ანასტასია ერისთავ-ხოშტარია.

ტასომ გორის სამასწავლებლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ფცას მიაშურა. თავის გამზრდელ დიდედასთან და პაპასთან - ზაზა ბაგრატიონ-დავითაშვილთან დაიდო ბინა და სოფლის გლეხების ბავშვების სწავლა-აღზრდას მიჰყო ხელი. ტასო ლექსებსა და მოთხრობებს წერდა და მწერლობაზე ოცნებობდა. აკაკი უკვე იცნობდა ერისთავის ასულს. მისი ბიცოლა ამატა აკაკის ცოლისდა იყო და ბიძის ოჯახში რამდენჯერმე შეხვდა მგოსანს. ტასო ოცნებობდა, რომ აკაკის მისი ნაწერები წაეკითხა და მგოსნის აზრი მოესმინა და აი, როგორც მწერალი ქალი იგონებს: ,,ერთხელ სამწერლო მაგიდასთან გართულს მომადგა ჩემი სიყრმის მეგობარი და მეზობელი დათა ბაგრატიონი.

- ტასო! მიანებე ყველაფერს თავი და წამოდი. აკაკი ჩამოვიდა, ჩვენთან არის, ვიცი, შენზე ძალიან არავის გაეხარდება მისი ნახვა. აღტაცებული ამბობდა ის და სულს ძლივს ითქვამდა. მე უცებ ავენთე და დათაზე არანაკლებ აღფრთოვანებული ვიყავი"...

დათას თხოვნით, იმ ღამეს აკაკიმ წაიკითხა მწერალი ქალის მოთხრობა ,,ბატონებმა არ დაიწუნეს".

,,დაუსრულებლად გაგრძელდა ღამე, - იგონებს ტასო ერისთავი,_ რამდენი მუდარა, რამდენი ღელვა გავუზიარე, როგორ მენატრებოდა მზის სხივის დანახვა და ამავე დროს მეშინოდა მისი...

რამ მოიყვანა ასე ადრიანად დათა? ან კი რა უხარია? მისი თვალების ელვარება ეტყობა ნაძალადევად, გულგრილად წარმოთქმულ სიტყვებს:

- აკაკი გიბარებს საჩქაროდ...

- ტასო შენი მიზეზით წუხელის მთელი ღამე ვერ დავიძინე! კარებშივე შემომაგება სიტყვა აკაკიმ. დავიწყე შენი მოთხრობის კითხვა, სანამ არ გავათავე ვეღარ შევწყვიტე, ძალიან მომეწონა. გადავწყვიტე წავიღო თან და თბილისში ჩასვლისთანავე ,,კვალში" დავაბეჭდინო ანასტასია თუმანიშვილს". (ლიტერატურის მატიანე, 1942: 83)

ასე შედგა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ლიტერატურული დებიუტი ფცაში, დათა ბაგრატიონის ოჯახში და არა ზაზა ბაგრატიო-დავითაშვილის ოჯახში, როგორც ეს ზოგადად არის მიღებული.

დათას მიუძღვნა აკაკიმ ორი ლექსი: ,,ცოცხალი სურათები" და ,,დათა ბაგრატიონის ხმალზე წარწერილი".

სახარება გვირგვინად და
ტახტად ,,ვეფხისტყაოსანი"
საზრუნველად ქართველობა
და მეგობრად ბრძენ_მგოსანი.
ყველა ერთად შეადგენდა
ბაგრატიონთ ძლიერებას!.
და ღირსეულ იმათ ნაშთსა
დღესაც კიდევ ვუძღვნი ქებას.

ამ ლექსით ნათლად გამოიკვეთა აკაკის დამოკიდებულება დათასადმი, მათი გულწრფელი მეგობრობა, ბაგრატიონთა დამოკიდებულება ზოგადად ქვეყნისა და პოეზიისადმი.

1904 წლის 2 ოქტომბერს აკაკის დამბლა დაეცა. ამ ამბავმა მთელ საქართველოს გადაუარა, განსაკუთრებით შეწუხდნენ ახლობლები, მაგრამ მეორე დღეს პოეტი

გამოკეთდა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ცოტა ხნის შემდეგ, როგორც კი წერა შეძლო, პოეტმა პირველი წერილი სწორედ დათას მისწერა: ,,საზღვარგარეთ რომ წავიდე, არა მაქვს საშუალება და აქ კი მეშინია და მეშინია განა სიკვდილის? ჩემთვის პირადად დიდი არაფერი გამოსადეგია სიცოცხლე, მაგრამ ჯერ კიდევ შემეძლო ცოტა შრომა და რამეს გაკეთება!.. ეჰ, შენ კარგად იყავი და იცოცხლე დიდ ხანს, ჩემო დათავ!.. თუ გადავრჩი, შევხვდებით ერთმანეთს". (წერეთელი, 1963: 182)

როგორც ცნობილია, 1909 წელს აკაკი მეორედ გაემგზავრა საზღვარგარეთ. იგი კურორტ ნიცაში სტუმრად ეწვია უკვე იქ მცხოვრებ მეგობარს _ დავით ბაგრატიონს. დათა ამ დროს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. სულ მალე იგი ნიცადან სასწავლებლად ჟენევაში გაემგზავრა, საიდანაც ბარათებით ეხმიანებოდა აკაკის. ნიცა ბაგრატიონ-დავითაშვილისადმი გაგზავნილ ბარათში აკაკი წერს: ,,დათა აქ სანამ იყო, ერთმანეთს ხშირად ვხედავდით. ახლა ჟენევაშია და გუშინ მომივიდა მისი წერილი. ჩემი არ იყოს, ფულზე ისიც ძალიან მწყრალად არის." (წერეთელი, 1963: 220)

გარკვეული ხნის შემდეგ დათა სამშობლოში დაბრუნდა. აკაკი თავისი სიცოცხლის ბოლო წლებს უფრო მეტად საჩხერეში ატარებდა. როგორც საარქივო მასალებიდან იკვეთება, განსაკუთრებულ სტადიაში ამ ორი ადამიანის მეგობრობაც სწორედ ამ პერიოდში შევიდა.

აკაკი ამ დროს ხშირად ავადმყოფობს, მგოსანს სულიერადაც უჭირს, ასეთ მდგომარეობაში მყოფი პოეტს აღსარება სურს და სწორედ დათას უმხელს ყველა სატკივარს: ,,დღეში ასჯერ ვეკითხები თავს ,,ყოფნა, თუ არ ყოფნა?" მეთქი და რომ არ მეშინოდეს ჩვენ ქვეყანაში სიკვდილის, სადაც მკვდრის შეურაცხყოფა და გაკიცხვა იციან ხოლმე სხვა და სხვა სამახსოვრო მალაყებითა და უტიფარი ტიტინით, არ ვიცი რას ავუტეხდი ჩემს თავს?" (წერეთელი, 1963: 184)

ასე უახლოვდებოდა მგოსანი თავისი ცხოვრების დაისს, იხურებოდა დიდი წიგნი მისი სიცოცხლისა და ამ წიგნის ბოლო ფურცელზე პოეტის სულის შემწედ, მეგობრად, ტკივილების სალბუნად იხატებოდა სახე დათა ბაგრატიონისა: ,,საყვარელო მეგობარო დათა! მე ძალიან ავათა ვარ. მივდივარ ღამბაშიძესთან, რომ ოპერაცია გამიკეთონ, მაგრამ გადავრჩები თუ არა, არ ვიცი და მიტომ ჯერ შენთან ჩამოვალ 9 (ცხრას) ამ თვისას...

ნახვამდის

შენი მარად აკაკი". (წერეთელი, 1963: 183)

ცოტა ხნის შემდეგ ნამკურნალევი აკაკი პირველ ბარათს ისევ დათას უგზავნის:

,,ძვირფასო ძმაო და მეგობარო დათა!

გმადლობ მოკითხვისთვის, როგორც იქნა გადვურჩი სიკვდილს, მაგრამ ძალიან სუსტადა ვარ და ეს პირველი წერილია, რომ ვწერ ხელის კანკალით. ნიცა რომ აქ არ დამსწრებოდა, ძნელი იქნებოდა გადარჩენა... ერთი სიტყვით, ისეთი მოვლა მქონდა, რომ სიკვდილს გამოგლიჯეს ჩემი თავი. იმედი მაქვს თუ მოვმჯობინდი, ამ ერთ კვირაში გნახავ.

შენი მარად ერთგული და მოყვარული აკაკი" (წერეთელი, 1963: 183)

1891 წელს ბაგრატიონ-დავითაშვილთა ასული ანასტასია (ტასო) ცოლად გაჰყვა XIX საუკუნის ქართული კულტურის ჭეშმარიტ კორიფეს, უდიდეს მამულიშვილს ვანო მაჩაბელს.

მომავალი მეუღლე, ივანე მაჩაბელმა ცნობილი მეცენატისა და მოღვაწის ნ. დიასამიძის ოჯახში გაიცნო.

ვიდრე მითითებულ თემაზე განვაგრძობთ საუბარს, საჭიროდ ვთვლით, რამდენიმე შტრიხით გავეცნოთ ნ. დიასამიძის პორტრეტს.

ქართული თეატრის დიდი მოამაგე ნ. დიასამიძე, გადმოცემით, თურმე, თავისი ურმით ეზიდებოდა ქვიშას და აგურის ნატეხებს ჭაობის ამოსაშრობად, ამ ადგილზე შემდეგ ა. თუთაევის დახმარებით, საკუთარი სახსრებით გამართა ე.წ. „როტონდა", ადგილი სცე-

ნისთვის (გორში). (ბუხნიკაშვილი, 1965) მათ საკუთარი წვლილიც შეჰქონდათ თეატრის რეპერტუარის გამრავალფეროვნებაში. თანამშრომლობდნენ პრესაშიც. ნ. დიასამიძის ჭეშმარიტად კეთილშობილური სულის გამოვლინებაა ის ფაქტიც, რომ გარდაცვალების შემდეგ მთელი ქონება ქართველ საზოგადოებრიობას უანდერძა.

გაზ. „თემის“ ფურცლებზე ს. მგალობლიშვილი წერდა: „დაუფასებელი ღვაწლი დასდვეს გორის სცენას ა. თუთაევმა და ნ. დიასამიძემ, ასე რომ, მომავალი მემატიანე ჩვენი თეატრის აღორძინებისა, უყურადღებოდ არ დასტოვებს იმათ ღვაწლს. ეს ორნი ყველა საზოგადო ქართულ საქმეს ხელს უწყობდნენ“. (თემი, 1911)

ვ. მაჩაბელი სტუმრად იყო მიწვეული ნიკოლოზ დიასამიძის ოჯახში, სადაც დაგვიანებით მივიდა მ. მაჩაბელთან ერთად. როგორც ითქვა, აქ გაიცნო მან მომავალი მეუღლე ანასტასია ბაგრატიონ-დავითაშვილი. ეს საქმე ელვისებურად გადაწყდა.

„საზოგადოება, უმთავრესად, ნაცნობი იყო, რადგან დიასამიძესა და მაჩაბლებს თითქმის საერთო ჰყავდათ ნაცნობ-მეგობრები. ასეთ დროს უცნობი სახე ყოველთვის ერთხმად მოგვხვდება თვალში და ვანო მაჩაბლის ყურადღებაც, ოთახში შესვლისთანავე, სამმა უცნობმა ქალმა მიიპყრო, რომლებიც ერთმანეთის გვერდით ისხდნენ, შესასვლელი კარების პირდაპირ. ქალები ერთმანეთს თვალსაჩინო მსგავსებით არ ჰგავდნენ, მაგრამ დაკვირვებული კაცი მიხვდებოდა, რომ დები იყვნენ. რომელი მათგანი იყო უფრო ლამაზი, ამის თქმა კი ძალიანაც დაკვირვებული რომ ყოფილიყო ადამიანი, მაინც გაუჭირდებოდა, რადგან სამივეს ჰქონდა ის თავისებური მომხიბლაობა, რომელიც პირველი შეხვედრისთანავე იზიდავს ხოლმე კაცს“. (ჭელიძე, 1968: 291-292)

ვანო მაჩაბელი, ბუნებრივია, სასურველი სტუმარი გახლდათ ყველასათვის. თანაც ცოცხალ და მხიარულ თანამესუფრედ იყო ცნობილი, ამიტომ შეკრებილი საზოგადოება გულწრფელი სიხარულით შეეგება დაგვიანებით მოსულ სტუმარს.

ივანეს მისთვის უცნობი სამი და – ნინო, ანასტასია და ბარბარე ბაგრატიონები გააცნეს. ორიოდე წუთის შემდეგ მათ შორის გულთბილი, მხიარული საუბარიც გაიბა. მაჩაბლის ყურადღება თავიდანვე შუათანა დამ, შავგვრემანმა, თაფლისფერთვალება ანასტასიამ მიიპყრო. ეს სწორედ ის ქალიშვილი გახლდათ, რომელიც ამ საღამოს ვინმე პოლკოვნიკ არჯევანიძისთვის უნდა დაეახლოვებინათ და ზემოხსენებული სადილიც საგანგებოდ, ამ მიზნით გაემართათ. ტასოს მშვენიერებით მოხიბლულმა ივანე მაჩაბელმა, რომელმაც ამ განზრახვის შესახებ არა უწყოდა რა, სპეციალურად მოწვეული სასიძოც გააწბილა, ანასტასია ბაგრატიონის გულიც მოინადირა, იმავე ღამეს მისი ხელიც ითხოვა, ორ დღეში წმინდა ნინოს კეთილშობილ ქალთა სასწავლებლის კარის პატარა ეკლესიაში ჯვარიც დაიწერა და ოჯახიც შექმნა.

1899 წელს ივ. მაჩაბლის უგზო-უკვლოდ გაუჩინარებამ დააობლა ოთხი წლის ელენე და ექვსი წლის ნიკოლოზი. ძაძით შეიმოსა ახალგაზრდა ანასტასია ბაგრატიონი, რომელიც მთელი დარჩენილი ცხოვრება ამაოდ ელოდა მეუღლეს. ტასოს გარდაცვალების შემდეგ, წმინდა ნინოს სასწავლებლის დამთავრებისთანავე ელენე მაჩაბელი 22 წლის ასაკში ცოლად მიჰყვება ივანე ჩერქეზიშვილს (ეს უკანასკნელი 1937 წლის ტრაგიკული მოვლენების მსხვერპლი გახდა).

ვახტანგ ჭელიძე შემდეგნაირად ხატავს მათ ქორწინებას: ,,გიგო დიასამიძის ოჯახში შესული... ვანო მაჩაბლის გული უცებ დაიპყრო შუათანა დამ... მან სიხარულით აღმოაჩინა, რომ ქალი საკმაოდ ნაკითხი და ლიტერატურის დიდი მოყვარული იყო. ქართული მწერლობიდან იგი თაყვანისმცემელი იყო აკაკი წერეთლისა. პირადი ნაცნობობაც ჰქონდა აკაკისთან და ხშირად ხვდებოდა მას თავისი სიძის ბეჟან წერეთლის ოჯახში”(ჭელიძე 1957: 276).

აკაკი თავიდანვე დიდი თაყვანისცემით განეწყო ტასოს მიმართ. ქალის სილამაზითა და დიდი სულიერი სამყაროთი მოხიბლულმა მგოსანმა უკვე მოასწრო თავისი განწყობილებების გამოხატვა ლექსში ,,ტასო ბაგრატიონის ალბომში”:

ნინოს, თამარს და ქეთევანს
არ სცოდნიათ სკვითის ენა,
მაგრამ მითი არ კლებიათ
ღირსება და ნიჭი ზენა.
და ჩვენს დედებს, მათ მიმდევრებს,
წუნს ვერ დებდა ვერა მტერი,
მათით იყო საქართველო
ძლიერი და ბედნიერი.
დღეს მსგავსები ძვირად ჩანან
სანუგეშოდ და იმედად,
ცოლს ცოლობას ვერვინ ატყობს
და ვერც ვინ სცნობს დედას დედად.
რად დამცირდა? ვინ დაჩაგრა
დღევანდელი ქართვლის ქალი?
მხოლოდ მან რომ სხვაგვარია
დღეს იმისი იდეალი.
სკვითის ენა, სკვითის ქცევა,
მეგობრადაც ვინმე სკვითი...
გისურვებ რომ აგცდენოდეს
შენ ეგ სხვისი მაგალითი.

შექსპირის სწორუპოვარ მთარგმნელთან - ვანო მაჩაბელთან აკაკის განსაკუთრებული, მეგობრობა აკავშირებდა.

„თამარაშენისაკენ მარტო აკაკი და ვანო გაემგზავრნენ. რაც უფრო ქართლის სიღრმე-ში შედიოდნენ, აკაკი მით უფრო მოხიბლული რჩებოდა, წარმოიდგინე, ჩვენს იმერეთს არაფრით ჩამოუვარდებაო, ამბობდა“ (ჭელიძე, 1968).

აკაკი განსაკუთრებით თამარაშენის მიდამოებს მოუხიბლავს და ამის შემდეგ მაჩაბლების ხშირ სტუმრად იქცა.

ზოგადად მაჩაბლებთან ახლო ურთიერთობაზე მიანიშნებს ელენე მაჩაბლის ერთი მოგონებაც, რომელშიც ნათქვამია: „ჩემი ძმა - ნიკო მაჩაბელი დიდი პატრიოტი იყო და ბავშვობიდანვე ეცნობოდა საქართველოს ისტორიას. აკაკი დიდ იმედებს ამყარებდა მასზე, აკაკიმ თავისი „თავგადასავალი“ სამი ცალი გვაჩუქა ავტოგრაფით... დედაჩემს, მე და ჩემ ძმას. ჩემ ძმას ერთი ისტორიული წიგნიც აჩუქა წარწერით: „აქ რაც ბულგარეთზე სწერია, საქართველოც უნდა იგულისხმო“. საზოგადოდ, აკაკი წერილებშიაც და პირად საუბარშიც, ხშირად შთააგონებდა ხოლმე ჩემს ძმას სამშობლოს სიყვარულს, ეუბნებოდა: „ბევრი ცოდნა უნდა შეიძინო, რომ რითიმე დაეხმარო შენ საყვარელ საქართველოსო“. (მნათობი, 1960: 13)

შიდა ქართლის მოსახლეობაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა 1913 წლის 2 ნოემბერს აკაკი წერეთლის გორში სტუმრობამ. მგოსნის ნახვის სურვილმა ცხინვალის რეგიონიდან უამრავი სტუმარი მოიზიდა. ღირსშესანიშნავ მოვლენას ქართლის რჩეული საზოგადოება მასპინძლობდა. აკაკის საპატივსაცემოდ გამართულ ვახშამს ესწრებოდნენ: ნიკო ლომოური, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, თედო რაზიკაშვილი, ალექსანდრე გარსევანიშვილი და სხვები.

ტასოსა და ვანოს შეუღლებამ აკაკი დიდად გაახარა. 1891 წლის გაზაფხულზე აკაკი პეტერბურგს გაემგზავრა სამკურნალოდ და იქიდან ეხმიანებოდა მახლობელ ადამიანებს. აი, ბარათი ვანოსადმი: ,,კნეინა ტასო პატივისცემით მომიკითხე. აგრეთვე ბაბო. ნიცას თუ წიგნი გაუგზავნოთ, ჩემ მაგიერ მოკითხეთ”. (წერეთელი, 1963: 135)

რამდენიმე დღის შემდეგ აკაკი ისევ უგზავნის ვანო მაჩაბელს მოკითხვის ბარათს და თავის მდგომარეობას უზიარებს: ,,მე ძალიან ავათა ვარ, ასე რომ ტკივილები გულს

მიწუხებენ ხოლმე, კარგი ექიმები მადგიან თავზე და, არ ვიცი, თუ გავუძელი, ღმერთმა ქმნას. შეიძლება ერთი წლის შემდეგ ისევ ჩამოვიდე. თქვენები ყველანი პატივისცემით მომიკითხე. კნეინა ტასოს ძმურის სიყვარულით ხელკოცნას ვუცხადებ" (წერეთელი, 1963: 1352). პოეტის ავადმყოფობით შეწუხებული ტასო და ვანო საპასუხო წერილში პოეტს წერენ: ,,ეს ერთი თვეა ვეწყობით და ძლივს მოვეწყეთ. დავდექით ისეთ სახლში, რომელიც სწორედ შენს გემოვნებაზედ არის გაჩენილი. ტასომ შემოგითვალა, ჩქარა ჩამოდი, რომ შენი საყვარელი ნარდი გაგიმართოთ ხოლმეო. ვდგევარ ვერაზედ ოლგინსკაია #40, საცა ცხენის რკინიგზა დგება. გარშემო ბაღი გვარტყია და ჰაერიც კარგია" (ჭელიძე, 1957: 294).

აკაკის დიდხანს მოუხდა პეტერბურგში დარჩენა. ახლობლები მოენატრა მგოსანს, სამშობლოს ხიბლი ეზიდებოდა თავისკენ. ამიტომ თავის სულიერ მდგომარეობას ისევ მაჩაბლებს უმხელდა: ,,იმდენად მენატრება ზოგიერთების ნახვა, რამდენადაც მეზიზღება უმეტესობის დანახვა, მაგრამ რა პირით უნდა გეჩვენოთ, რომ ის ვეღარა ვარ, რაც ვიყავ. ეჰე ჩემი ,,ზევსური" გათავებულია და ამ ლექსით დაბოლოებული:

გული წყლული, სული კრული,
სახე მჭკნარი, თმა-ჭაღარა,
ამისთანა სიცოცხლეც კი
გინდ იყოს და გინდ აღარა.

იყავ მშვიდობით, შენი ოჯახობა ერთობით, სიმდაბლითა და სიყვარულით მომიკითხე. (წერეთელი, 1963: 143)

1892 წელი, აკაკი სამშობლოში ჩამოვიდა და საჩხერეს მიაშურა. ზაფხულის შემდეგ მაჩაბლებს მძიმე დღეები დაუდგათ. თავისმა მოწინააღმდეგეებმა ვანოს ბევრი სიმწარე აგემეს. 1893 წლის ზაფხული, მაჩაბლები ხმების შესაგროვებლად ქართლში გაემგზავრნენ.

ეს ,,მოგზაურობა" ხანგრძლივი აღმოჩნდა. რაკი ვანოს ცოლ-შვილი იმჟამად სოფელ ფცაში, ბაგრატიონ-დავითაშვილების მშობლიურ ოჯახში იმყოფებოდნენ მგზავრობით დაღლილმა დიდიმა მოღვაწემ პირველ რიგში ოჯახს მიაშურა. სწორედ იქ გაეცნო ვანო ,,კვალის" იმ ნომერი, რომელშიც ბრალად სდებდნენ 200 მანეთის მითვისებას, რაც თითქოს რუსთაველის ძეგლის ასაგებად შეეგროვებინოს ,,დროების" რედაქციას ჯერ კიდევ სერგეი მესხის რედაქტორობის. ვანო ამ შეურაცხყოფამ კიდევ ერთხელ აღაშფოთა. Dდიდმა მოღვაწემ თავისი გულისტკივილი სწორედ აკაკის გაანდო: ,,ძმაო აკაკი, ეს არის დავბრუნდი ფცაში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ქართლში და ერთბაშად შემხვდა ,,კვალის" ნომრების გადათვალიერება. წავიკითხე შენიშვნა იმაზედ, ვითომ მე ორასი თუმანი რუსთაველის ფონდისა მქონდეს ჩაბარებული სერგეი მესხისაგან. (ეს სრული სიცრუეა, გროშიც არავის გადმოუცია დ არც მოვალეობა უკისრია ვისმე და როგორც მახსოვს, სერგეის ,,დროების" დროსაც არ ყოფილა რუსთაველის ფონდისათვის ხელისმოწერა გამართული). მერე წავიკითხე ლექსი იმის შესახებ, თუ როგორ მოვპარე ,,კვალის" რედაქტორებს და მის თანამშრომლებს კლიტე იმათის კასისა და როგორ ,,აქშა" უთხრეს მხოლოდ ერთს კაჭკაჭს, რომელმაც მათის კასა დაისაკუთრა. ყველაფერი მიკისრია ჯერჯერობით ,,კაჭკაჭის" სახელწოდებაც, კასის მოტაცების ბრალიც... კარგი რამა თქვან გიკვირდეს, ავი რა საკვირველია, მაგრამ შენ მიხვდები, რომ ამისთანა რაინდული გამოლაშქრების შემდეგ მე აღარაფერი იმედი აღარ შემრჩენოდა, რომ ,,კვალის" საქმე თავის დონეზე დამდგარიყო და მეც შემდგომში ოდისმე მონაწილეობა მიმეღო" (ჭელიძე, 1957: 325).

საპასუხო ბარათით აკაკი ასე თანაუგრძნობს უანგარო მოღვაწეს: ,,ძმაო ვანო, რაც იმერეთში გადმოვედი, მასუკან ისეთ გუნებაზე ვარ, რომ მტრისას! მაგრამ დღეს კი სულ გამოვედი მოთმინებიდან და ოთახიდან-ოთახში გავრბი-გამოვრბივარ გიჟივითა და ჩემებურად რუსულად ვილანძრები. მე აღარ მომდის ,,კვალი". დღეს ვინათხოვრე სხვისაგან და გადავიკითხე. ზოგიერთი სიგლახე ადამიანებისა, მხოლოდ სიგიჟით აიხსნება!.. რა საფუძველზე ამბობენ? იმ ფულებზე ხომ არა, რომელიც შენ, ანდაზის

წინააღმდეგ, უკუღმა კისერზე ვალათ დაგაწვა? და ან რას ნიშნავს კასის გატეხვა და ,,აქშას" შეძახება კაჭკაჭთან? მაგრამ ეს საწყენი კი არ არის, სასცილოა, როგორც გიჟური რამ როშვა!.. ახლა რაც შეეხება საქმეს, აი, რასა გწერ: რადგან შენთვის ,,აქშა" უთქვამთ, როგორც კაჭკაჭისათვის და მეც თუმცა არ დაუსახელებივარ მაგრამ ისე ვირათ კი შეუწვევივარ მუქთად სახედნელად, მე ჩემის მხრივ მაგასთან საერთო არა მაქვს რა". (წერეთელი, 1963: 142) აკაკიმ ერთ ხანს მართლაც გაწყვიტა ურთიერთობა ,,კვალის" რედაქციასთან.

1898 წლის 28 ივლისს მაჩაბელი უგზო-უკვლოდ გაქრა... ამ ამბავმა აკაკიზე დიდად იმოქმედა. იმავე წელს თავისი ,,კრებულის" აგვისტოს ნომერში პოეტმა ასეთი შინაარსის წერილი გამოაქვეყნა: ,,თანდათან უახლოვდებოდით ერთმანეთს და კიდევაც გავიცანი ის. როგორც საზოგადოდ, ისე უფრო კერძოთაც. სწორედ საუცხოოდ იყო გაზრდილი: თავმდაბალი, ზრდილობიანი, ტკბილად მიმღები და ბუნებით ნაზიარი! ამხანაგებისათვის თავდადებული... ადამიანის წყენას ერიდებოდა კერძოდ და საზოგადო საქმეში კი ულმობელი იყო... შრომისმოყვარე იყო, მოუსვენარი, უსაქმურად ვერ დადგებოდა, და ბევრის ატანაც შეეძლო. რა საზოგადო საქმესაც კი იკისერებდა, სულითა და გულით უძღვებოდა...

თვალსა და ხელს შუა დაგვეკარგა! ვფიქრობთ და ვერ წარმოგვიდგენია მიზეზი და ერთმანეთს ვეკითხებით, რამ აიძულა ეს კაცი? კითხვა უპასუხოდ რჩება და ეს კი ვიცით მხოლოდ, რომ რასაც უნდა აეძულებია, თავდაპირველი მიზეზი იძულებისა და ფესვი უბედურებისა მისი საზოგადო მოღვაწეობა იყო, იმას ემსხვერპლა" (აკაკის კრებული, 1898: 2).

ვანოს დაკარგვამ იმდროინდელ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. რამაც აკაკი დიდად შეაწუხა.

აკაკი და ტასო სულიერი მეგობრები იყვნენ, ხალხი კი ამ ამბავს სულ სხვაგვარად აღიქვამდა. ერთგვარ კითხვებს, ალბათ, ეს ლექსიც ბადებდა:

ნინოს, თამარს და ქეთევანს
არ ვიცი, ვის შეგამსგავსო,
საოცნებო, საარაკო,
დედოფალო ქალთა!.. ტასო!
ყველას ერთად და გულწრფელად
აგწონო და დაგაფასო!..
სამთავ ტოლო, სამის სწორო,
სამებრ მნათო, სასო!..ტასო!..
მირისხდები, როგორ ბედავ
ჩემზე მაგგვარ სიტყვის თქმასო,
მე კი ვცდილობ, მაგრამ რა ვქნა
რომ წასცდება ენას ,,ტასო"
გინდ დამარჩვე, გინდა დამწვი
გინდ ამკეპე ასო-ასო,
თუ არ ცხადად, ძილში მაინც
წამომცდება ,,ტასო", ,,ტასო"!

აკაკისა და ტასოს ერთმანეთთან მხოლოდ წმინდა, ამაღლებული გრძნობა აკავშირებდათ, რაც მოპოვებულმა მასალამ მთლიანად დაადასტურა. ტასო იყო აკაკის შთაგონება, მისი პოეზიის მუზა და ეს ურთიერთობა იყო წმინდა, შეუბღალავი და სპეტაკი.

მარტო დარჩენილ პოეტს ხშირად ენატრებოდა მეგობრები.. ,,იქ, ჩემს უდაბნოში, იმედია დამშვიდებით ვიქნები, რადგან ვერავის ვნახავ და არც მინდა არავის ნახვა", _

წერდა ქუთაისიდან ტასოს, მაგრამ საჩხერეში ჩასული პოეტი ისევ მეგობრებს ნატრობდა, მათი ნახვა ენატრებოდა: ,,ბატონო ჩემო დობროჟელატნიცავ!

...საჩხერეში ამოვედი და უფრო ავად შევიქმენ. მნახველები არ მაკლიან, მაგრამ მისთანები, რომელნიც ვერც სულსა და ვერც გულს ვერას ეუბნებიან გარდა ჩვენებური ქათინაურებისა. იმ კვირაში ორჯერ კი იყვნენ ჩვენთან დათიკო და ნიკო, მაგრამ ორიოდე წუთით მზე რომ გამოიჭიტებს და მერე ისევ შეჰყოფს თავს ღრუბლებში. მეტად დანაღვლიანებული ვარ და ერთი თქვენი ნახვა რას არ მერჩია...“ (წერეთელი, 1963: 156)

1905 წელს აკაკი პეტერბურგში ჩავიდა და ჩასვლისთანავე გაუზიარა მეგობარს თავისი სულიერი განწყობილებები: ,,საყვარელო დაო და ძვირფასო მეგობარო ტასო! როგორც იქნა ჩამოვეთერი ამ დასაქცევ პეტერბურგში. ვერვინ ვერა ვნახე, ვინც მინდოდა და დანარჩენი ნაცნობების ნახვა მე თვითონ აღარ მინდა” (წერეთელი, 1963: 157).

ივნისის დასაწყისში აკაკი პარიზისაკენ გაემგზავრება და წასვლის წინ ისევ ტასოს შეეხმიანება: ,,მივდივარ! ბილეთი ნაყიდი მაქვს და ბარგი ჩალაგებული. დღეს ათ საათზე მივდივარ და თითქმის არა მჯერა!.. ძალიან ცუდი დრო შემიხვდა, ყველა დაჩად არის წასული. ე. ი. სააგარაკოდ და მეც ოთახიდან აღარ გავსულვარ. ბაბო კი ვნახე ორჯელ და თარხნიშვილის ქალიც ერთხელ” (წერეთელი, 1963: 159).

პარიზში ჩასული პოეტი ისევ ტასოს ეხმიანება: ,,დათას ამბავი რომ არა ვიცი რა, ძალიან მაწუხებს”... ,,16 ივლისს ის ჟენევის ტბაზეა და ათვალიერებს შილიონის ძველ ციხე-დარბაზს, რომელიც ბაირონმა უკვდავყო თავის პოემაში”. (ასათიანი, 1965: 428).

5 ივლისს ისევ ტასოს წერს: ,,არა ვიცი რა თქვენი და არც დათასი... თქვენმა ჯავრმა ჩემი საკუთარი შეწუხება დამავიწყებია” (წერეთელი, 1963: 166).

7 ივლისს ისევ მოწერს: ,,ძალიან მიხარია, რომ დათასთვის ნება მიუციათ რუსული გაზეთის გამოცემის, მაგრამ... მეეჭვება კი...” (წერეთელი, 1963: 169).

სამშობლოში დაბრუნებული აკაკი ხშირად ნახულობს ტასოს. ასევე ხშირად სტუმრობს ტასო თავის დას ნიცას.

დასკვნა. მეოცე საუკუნის ოციანმაა წლებმა ბაგრატიონ-დავითაშვილთა ოჯახსაც შეახო თავისი სისხლიანი ხელი. ბოლოს საქართველოში მხოლოდ დედა-შვილი ნიცა და თამუნია შემორჩნენ და მძიმე პირობებში გააგრძელეს ბრძოლა არსებობისათვის. Bბაგრატიონ-დავითაშვილთა დიდი ოჯახიდან თამუნია წერეთლის ქალიშვილის რუსუდან კახაძის ოჯახია დარჩენილი, რომელიც ინახავს დიდი პოეტისა და ამ საგვარეულოთა მეგობრობის ღირსსახსოვარ ისტორიას.

გამოყენებული ლიტერატურა:

აკაკის კრებული. (1898). #2.
ასათიანი, ლ. (1965). *აკაკი წერეთელი.* თბილისი.
ბუხნიკაშვილი, გ. (1965). *გორის თეატრი.* თბილისი.
გაზეთი *„თემი“.* (1911). #4.
ლიტერატურის მატიანე. (1942). #11.
ჟურნალი *„ნიანგი“.* (1933). #11-12.
ჟურნალი *„ჩვენი მწერლობა“.* (2010 წლის 24 დეკემბერი). #26.
ჟურნალი *„მნათობი“.* (1960). #9.
შარაძე, გ. (1984). *ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე.* თბილისი.
შარაძე, გ. (1986). *საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე.* თბილისი .
წერეთელი, ა. (1940). *საიუბილეო კრებული.* თბილისი.
წერეთელი, ა. (1961). *თხზულებათა სრული კრებული* (ტ. XIII). თბილისი.
წერეთელი, ა. (1963). *თხზულებათა სრული კრებული* (ტ. XV). თბილისი.
ჭელიძე, ვ. (1957). *ცხოვრება ივანე მაჩაბლისა.* თბილისი.

ჭელიძე, ვ. (1968). *ივანე მაჩაბელი.* თბილისი.

REFERENCES:

ak'ak'is k'rebuli [Akaki's Krebuli]. (1898). #2.
asatiani, l. (1965). *ak'ak'i ts'ereteli [Akaki Tsereteli].* Tbilisi.
bukhnik'ashvili, g. (1965). *goris teat'ri [Gori Theatre].* Tbilisi.
gazeti *„temi"* [Newspaper "Temi"]. (1911). #4.
lit'erat'uris mat'iane [Literaturis Matiane]. (1942). #11.
zhurnali *„niangi"* [Journal *"Niangi"*]. (1933). #11-12.
zhurnali *„chveni mts'erloba"* [Journal "Chveni Mtserloba "]. (2010 ts'lis 24 dek'emberi). #26.
zhurnali *„mnatobi"* [Journal *"Mnatobi"*]. (1960). #9.
sharadze, g. (1984). *bednierebisa da satnoebis saunje [The treasure for happiness and kindness].* Tbilisi.
sharadze, g. (1986). *sakartvelos mze da siqvaruli albionis k'undzulze [Georgian Sun and the love on an island of a foggy Albion].* Tbilisi .
ts'ereteli, a. (1940). *saiubileo k'rebuli [Anniversary collection].* Tbilisi.
ts'ereteli, a. (1961). *tkhzulebata sruli k'rebuli [Complete collection of works].* XIII. Tbilisi.
ts'ereteli, a. (1963). *tkhzulebata sruli k'rebuli [Complete collection of works].* XV. Tbilisi.
ch'elidze, v. (1957). *tskhovreba ivane machablisa [Life of Ivane Machabeli].* Tbilisi.
ch'elidze, v. (1968). *ivane machabeli [Ivane Machabeli].* Tbilisi.